საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

პირველი დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

კონსტანტინე გელაშვილი - კოლეგიის თავმჯდომარე

ეკატერინე გეწაძე - კოლეგიის წევრი

ეკატერინე მაჭარაშვილი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: თ. ხ., მ. ხ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 03.05.2023

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: №038/23

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ნ. ჩ.-ის /სიითი №/ მიმართ

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ნ. ჩ.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი:

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას 2023 წლის 3 მაისს საჩივრით მომართეს მ. ხ.-მ და თ. ხ.-ს და მოითხოვეს ადვოკატ ნ. ჩ.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. საჩივრის ავტორებმა მონაწილეობა მიიღეს 2023 წლის 12 ივნისს გამართულ საპროცესო კოლეგიის სხდომაში, სადაც დაადასტურეს საჩივარში მითითებული გარემოებები.

1.2 საჩივრის ავტორების განმარტებით, მათ ადვოკატ ნ. ჩ.-ს მიმართეს გამოსახლების საქმეზე. ვინაიდან ადვოკატ ნ. ჩ.-ს ჰქონდა სპეციალიზაცია ბავშვთა უფლებებში, მას გამოსახლების პროცესში უნდა დაეცვა თ. ხ.-ის არასრულწლოვანი შვილების ინტერესები. საჩივრის ავტორთა

განმარტებით, საადვოკატო მომსახურებისათვის მ. ხ.-მ ადვოკატ ნ. ჩ.-ს გადასცა 1500 ლარი, ხოლო თ. ხ.-მ ადვოკატს საადვოკატო წესით გაუფორმა მინდობილობა. საჩივრის ავტორთა განმარტებით, გამოსახლების პროცესის მიმდინარეობისას სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიურო"-ს აღსრულების პოლიციის თანამშრომლებმა გადაამეტეს უფლებამოსილებას, გამოსახლების პროცესი მიმდინარეობდა აღსრულების პოლიციის თანამშრომლების მხრიდან არაპროპორციულად დიდი ძალისა გამოყენებით; უძრავი ქონებით გაიყვანეს თ. ხ., თუმცა არასრულწლოვანთა გამოსახლება ვერ მოხერხდა. საჩივრის ავტორების განცხადებით, ადვოკატი ნ. ჩ. ესწრებოდა გამოსახლების პროცესს, მაგრამ ადვოკატს კლიენტების დასაცავად ქმედითი ღონისძიებები არ გაუტარებია.

1.3 საჩივრის ავტორების განმარტებით, სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიურო"-ს აღსრულების პოლიციის უკანონო ქმედებები ადვოკატ ნ. ჩ.-ს უნდა გაესაჩივრებინა შესაბამის უწყებებში. ადვოკატი არწმუნებდა მათ, რომ საჩივრით მიმართა საქართველოს პროკურატურასა და იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის სამსახურს, თუმცა მომჩივანთა მიერ ინფორმაციის გადამოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ ადვოკატს დასახელებული უწყებებისათვის საჩივრით არ მიუმართავს. საჩივრის ავტორთა განცხადებით, ადვოკატმა ნ. ჩ.-მ განმარტა, რომ საქართველოს პროკურატურასა და იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის სამსახურს აღარ მიმართა კლიენტების ინტერესების დაცვის მიზნით, რაც მომჩივანთა შეფასებით წარმოადგენდა მათი ინტერესების საწინააღმდეგო მოქმედებას.

1.4 მომჩივანთა განმარტებით, ადვოკატმა ნ. ჩ.-მ განუცხადათ, რომ ის დაუბრუნებდა გადახდილი ჰონორარის ნაწილს - 700 ლარს, სანაცვლოდ კი სურდა, რომ საჩივრის ავტორებს დაეწერათ ხელწერილი, სადაც მიუთითებდნენ, რომ მათ ადვოკატ ნ. ჩ.-ის მიმართ პრეტენზია არ გააჩნდათ, რაზეც საჩივრის ავტორებმა უარი განაცხადეს. მ. და თ. ხ.-ების განმარტებით, მათ მიზანს არ წარმოადგენს ადვოკატისაგან გადახდილი თანხის დაბრუნება და სურთ ადვოკატ ნ. ჩ.-ს დისციპლინირება.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა ნ. ჩ.-მ ეთიკის კომისიაში წერილობითი ახსნა-განმარტება წარმოადგინა 2023 წლის 18 მაისს, სადაც მიუთითა, რომ მურთაზ და თ. ხ.ების საჩივარი არის უსაფუძვლო, დაუსაბუთებელი, არ შეესაბამება სინამდვილეს და საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

2.2 ადვოკატის განმარტებით, მ. ხ. არ შეიძლება ეთიკის კომისიაში ყოფილიყო უფლებამოსილი განმცხადებელი, ვინაიდან მის კლიენტს არ წარმოადგენდა მ. ხ.. ადვოკატმა დავალება მიიღო თ. ხ.-ისგან და მას უნდა წარმოედგინა თ. ხ.-ის არასრულწლოვანი შვილების ინტერესები, რაც დასტურდება 2023 წლის 16 თებერვალს მინდობილობის გაუქმების შესახებ შედგენილი სანოტარო აქტით. ადვოკატის განცხადებით, საჩივრის ავტორთან შეთანხმების შესაბამისად, მას უნდა მიემართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიისათვის და მოეთხოვა 2015 წლის 9 ოქტომბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების გადავადება. აღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველზე სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიურო"-ში მიმდინარეობდა გამოსახლების საქმე. ადვოკატის განმარტებით, იმ ფაქტის

გათვალისწინებით, რომ მოპასუხემ ადრეც მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს აღსრულების გადადების მოთხოვნით და კანონი არ ითვალისწინებდა აღნიშნული მოთხოვნის განმეორებით დაყენების შესაძლებლობას, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 5 ივლისის განჩინებით არ დაკმაყოფილდა მათი მოთხოვნა. ადვოკატმა კერძო საჩივრით გაასაჩივრა თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინება.

2.3 ადვოკატის განმარტებით, თ. ხ.-მ მიაწოდა ინფორმაცია, რომ მამამისი - მ. ხ. იმყოფებოდა საზღვარგარეთ და ის ვერ დაესწრებოდა გამოსახლების პროცედურას. იმის გათვალისწინებით, რომ აღსრულების პოლიციის მოქმედებების გამო, შესაძლოა ზიანი მისდგომოდა არასრულწლოვანთა ინტერესებს, კლიენტის თხოვნით, არასრულწლოვანთა უფლებების დაცვის მიზნით, ადვოკატი, სოციალური სამსხურის წარმომადგენელთან ერთად დაესწრო გამოსახლების პროცესს.

2.4 ადვოკატის განმარტებით, იძულებით გამოსახლების პროცესის დასრულების შემდეგ, თ. ხ.-მ სთხოვა აღსრულების პოლიციის თანამშრომლების ქმედებებიდან გამომდინარე საჩივრების შედგენა. ადვოკატმა განუმარტა საჩივრის ავტორს, რომ აღნიშნული ქმედება არ მიაჩნდა პერსპექტიულად, თუმცა კლიენტის ნების შესაბამისად, შეადგინა საჩივრები და გადასცა თ. ხ.-ს. ადვოკატის პოზიციით, კლიენტის ინტერესების დაცვის მიზნით, მას კლიენტთან შეთანხმებული ყველა ვალდებულება ჯეროვნად აქვს შესრულებული და შესაბამისად, არ არსებობს მისი დისციპლინირების საფუძვლები.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი ნ. ჩ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოქმედი წევრი, /სიითი №/, სპეციალიზაცია - საერთო; არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება.

3.2 მ. ხ.-მ და თ. ხ.-მ ეთიკის კომისიას მომართეს 2022 წლის 3 მაისს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2022 წელს. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად დაცულია ეთიკის კომისიისთვის მომართვის ვადა.

4. შემაჯამებელი დასკვნა:

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ნ. ჩ.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზიები ადვოკატ ნ. ჩ.-ის მიმართ გამოიხატა შემდეგში: ადვოკატმა ნ. ჩ.-მ სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიურო“-ს მიერ წარმოებული იძულებითი გამოსახლების მიმდინარეობისას არ განახორციელა ქმედითი ღონისძიებები არასრულწლოვან კლიენტთა

დაცვის მიზნით და კლიენტის მითითების მიუხედავად, არ შეადგინა და წარადგინა საჩივრები საქართველოს პროკურატურასა და იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის სამსახურში.

5.2 საჩივრის ავტორის პრეტენზიების ფარგლებში, საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ ნ. ჩ.-ის მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

„ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.2 მუხლი: ,,ადვოკატმა საქმე უნდა აწარმოოს კლიენტის, მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის ან შესაბამისი ორგანოს მიერ დანიშნული კომპეტენტური პირის მითითებით, სავალდებულო დაცვის შემთხვევაში.”

5.3 „ადვოკატ-კლიენტს შორის ურთიერთობა იწყება მათ შორის შეთანხმების საფუძველზე და ურთიერთობის გაგრძელებასაც მუდამ თან უნდა სდევდეს ურთიერთშეთანხმება, რაც გულისხმობს საადვოკატო მომსახურების გაწევას კლიენტთან შეთანხმებული ფორმით. ადვოკატმა კლიენტის დაცვის სტრატეგია მასთან უნდა შეათანხმოს და მომსახურების პროცესში ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღება კლიენტის თანხმობით უნდა განახორციელოს“ (ეთიკის კომისიის 2020 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილება, საქმე 111/19, პარ. 6.3).

5.4 საჩივრის ავტორები სადავოდ მიიჩნევენ ადვოკატთან შეთანხმების ფარგლებსა და ადვოკატის მიერ კლიენტის მითითებების შესაბამის მოქმედებას. მხარეთა ახსნა-განმარტებებითა და ეთიკის კომისიაში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ თ. ხ.-მ ადვოკატ ნ. ჩ.-ს 30.06.2022 წელს სანოტარო წესით გაუფორმა მინდობილობა (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი: N), რომლის მიხედვითაც, ადვოკატ ნ. ჩ.-ს მიენიჭა უფლებამოსილება მარწმუნებლის ინტერესები წარმოედგინა ყველა ინსტანციის სასამართლოსა და სხვადასხვა უწყებებში - მათ შორის სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიურო“-ში. საქმის მასალებიდან და მხარეთა ახსნა-განმარტებებიდან დგინდება, რომ თ. ხ.-მ, როგორც შვილების კანონიერმა წარმომადგენელმა, 30.06.2022 წელს ადვოკატ ნ. ჩ.-ს გაუფორმა მეორე მინდობილობაც, რაც დასტურდება 2023 წლის 16 თებერვალს მინდობილობის გაუქმების შესახებ შედგენილი სანოტარო აქტით. თავის მხრივ, ადვოკატი არ უარყოფს, რომ მას უნდა დაეცვა თ. ხ.-ის არასრულწლოვანი შვილების კანონიერი ინტერესები და დასწრებოდა გამოსახლების პროცესს, თუმცა, მხარეებმა განსხვავებული განმარტებები წარმოადგინეს ადვოკატის მიერ ადვოკატ-კლიენტის შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შეთანხმებული მოცულობითა და კლიენტის მითითების შესაბამისად შესრულებაზე. საჩივრის ავტორთა განმარტებით, იმის მიუხედავად, რომ აღსრულების პოლიციის თანამშრომლებმა გადაამეტეს უფლებამოსილებას, ადვოკატმა ნ. ჩ.-მ სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიურო“-ს მიერ წარმოებული იძულებითი გამოსახლების მიმდინარეობისას არ განახორციელა ქმედითი ღონისძიებები არასრულწლოვან კლიენტთა დაცვის მიზნით და კლიენტის მითითების მიუხედავად, არ შეადგინა და წარადგინა საჩივრები საქართველოს პროკურატურასა და იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის სამსახურში. აღნიშნული გარემოება უარყო ადვოკატმა და განაცხადა, რომ ის ზუსტად ასრულებდა კლიენტის ყველა მითითებას და მისი მოქმედებები შეთანხმებული იყო თ. ხ.-სთან: ადვოკატმა შეადგინა საჩივრები და გადასცა ისინი საჩივრის ავტორს, რომელსაც თავად უნდა წარედგინა აღნიშნული დოკუმენტები შესაბამის უწყებებში.

5.5 საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ საპროცესო ეტაპზე დისციპლინური დევნის აღძვრის ან აღძვრაზე უარის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას კოლეგია ხელმძღვანელობს მხარეთა ახსნა-განმარტებებისა და მტკიცებულებათა შესწავლის საფუძველზე და სადავო ფაქტებს განიხილავს დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით. მაშინ როდესაც, მხარეთა ახსნა-განმარტებები ურთიერთგამომრიცხავია, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სადავო ფაქტთან შემხებლობის მქონე სხვა მტკიცებულებებს. „დასაბუთებული ვარაუდი წარმოადგენს ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობას, რომელიც მოცემული დისციპლინური საქმის წარმოების მასალების მიხედვით დააკმაყოფილებდა ნეიტრალურ მეთვალყურეს, რათა დაესკვნა დისციპლინური გადაცდომის შესაძლო ჩადენა“ (სუსგ დს/შ10-13, 16.10.2013).

5.6 საპროცესო კოლეგია ეყრდნობა საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებას (2022 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილება, საქმე Nას-521-22): „გარემოება დამტკიცებულად შეიძლება ჩაითვალოს, თუ ერთი მხარე მიუთითებს მასზე და მეორე მხარე არ ეწინააღმდეგება ამ მითითებას.“ დასახელებულ შემთხვევაში ფაქტია, რომ ადვოკატი ნ. ჩ. ახორციელებს შედავებას და განსხვავებულად ადვოკატ-კლიენტის შეთანხმების ფარგლებს. განხილვის კოლეგია განმარტავს, რომ ფაქტობრივ გარემოებათა მტკიცების ვალდებულება აკისრიათ მხარეებს, რომლებიც თავის სამართლებრივ მოთხოვნას აფუძნებენ აღნიშნულ გარემოებებს და შესაბამისად, ისინი მიეთითება მათ მიერ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ადგენს მხარეთა მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების ტვირთის განაწილების სტანდარტს, რომელიც ყველა შემთხვევაში ინდივიდუალურად უნდა განაწილდეს. თბილისის სააპელაციო სასამართლო 11.04.2013 წლის გადაწყვეტილებაში (საქმე №2ბ/102-13) განმარტავს, რომ სამოქალაქო სამართალში მოქმედებს პრინციპი „affirmanti, non negati, incumbit probatio“ – „მტკიცების ტვირთი ეკისრება მას, ვინც ამტკიცებს და არა მას, ვინც უარყოფს“. ამ დებულებიდან გამომდინარე, უნდა განისაზღვროს, ვინ რა უნდა ამტკიცოს. განხილვის კოლეგია განმარტავს, რომ დაუშვებელია ამ პრინციპის საპირისპიროდ, მტკიცების ტვირთის ადვოკატზე დაკისრება. მხარეთა შეთანხმებასა და ადვოკატის უფლებამოსილების ფარგლებზე მტკიცების ტვირთი ეკისრება საჩივრის ავტორს. სწორედ მომჩივანი მხარეა ვალდებული უტყუარი მტკიცებულებებით დაადასტუროს, რომ ადვოკატის ვალდებულებას წარმოადგენდა საქართველოს პროკურატურასა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის სამსახურში განცხადებების წარდგენა და საქმისწარმოება.

5.7 საკუთარი პოზიციის დასადასტურებლად, საჩივრის ავტორებს ეთიკის კომისიაში არ წარმოუდგენიათ ისეთი მტკიცებულებები, რად დაადასტურებდა, რომ ადვოკატ-კლიენტის შეთანხმების შესაბამისად, ადვოკატ ნ. ჩ.-ს განცხადებები უნდა წარედგინა საქართველოს პროკურატურასა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის სამსახურში განცხადებების წარდგენა და საქმისწარმოება.

5.8 თავის მხრივ, საჩივრის ავტორის პრეტენზიების გასაქარწყლებლად, ადვოკატმა ნ. ჩ.-მ ეთიკის კომისიაში წარმოადგინა ისეთი მტკიცებულებები, რაც ადასტურებს, რომ ადვოკატმა კლიენტის ინტერესების დასაცავად არაერთი საპროცესო მოქმედება განახორციელა. ადვოკატის მიერ ეთიკის კომისიაში წარმოდგენილია 01.07.2022 წლის N ცნობა თბილისის საქალაქო სასამართლოს

კანცელარიიდან და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 07.07.2022 წლის განჩინება (საქმე N), რომლის მიხედვითაც არ დაკმაყოფილდა თ. ხ.-ის განცხადება გადაწყვეტილების აღსრულების გადადების თაობაზე. თბილისის საქალაქო სასამართლოს კანცელარიის ცნობით კი დგინდება, რომ სასამართლოში თ. ხ.-ის ინტერესების დაცვის მიზნით განცხადება წარდგენილი იყო ადვოკატ ნ. ჩ.-ის მიერ. საპროცესო კოლეგია ყურადღებას ამახვილებს, რომ ეთიკის კომისიაში წარმოდგენილია ადვოკატ ნ. ჩ.-ის მიერ შედგენილი ორი განცხადება. ერთი განცხადება შედგენილია 19.09.2022 წელს და მიემართება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის სამსახურის უფროსს, ხოლო მეორე განცხადება შედგენილია 22.09.2022 წელს და მიემართება საქართველოს გენერალური პროკურატურის გენერალური ინსპექციის უფროსს. ადვოკატმა აღნიშნული დოკუმენტები გადასცა თ. ხ.-ს, რაც დასტურდება იმ ფაქტით, რომ საჩივრის ავტორებმა ადვოკატის მიერ შედგენილი განცხადებები მტკიცებულებების სახით წარუდგინეს ეთიკის კომისიას. შესაბამისად, საჩივრის ავტორებს დამოუკიდებლადაც შეეძლოთ განცხადებები წარედგინათ ზემოთ აღნიშნულ უწყებებში. ეთიკის კომისიაში წარმოდგენილი მტკიცებულებებისა და მხარეთა ახსნა-განმარტებების ურთიერთშეჯერების საფუძველზე, ეთიკის კომისიას არ შეექმნა დასაბუთებული ვარაუდი, რომ ადვოკატს კლიენტის საქმე უნდა ეწარმოებინა ისეთ უწყებებში, როგორებიცაა საქართველოს პროკურატურა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის სამსახური.

5.9 საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, რომ არ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი ადვოკატ ნ. ჩ.-ის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე და ადგილი არ აქვს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.2 მუხლის დარღვევას. შესაბამისად, ადვოკატ ნ. ჩ.-ის მიმართ არ არსებობს დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5.10 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 30–ე მუხლის მე–2 პუნქტით, 31–ე მუხლით და 40–ე მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №038/23 არ აღიძრას დისციპლინური დევნა ადვოკატ ნ. ჩ.-ის /სიითი №/ მიმართ.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /კონსტანტინე გელაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ეკატერინე გეწაძე/

კოლეგიის წევრი: /ეკატერინე მაჭარაშვილი/